უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 5 21 0000340271

08/04/2021

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ

წარმოდგენილი საჩივრის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103 - ე მუხლის პირველი პუნქტისა და 88-ე მუხლის 25 - ე პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა

1. შეწყდეს სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ს/კ:231187168) ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
2. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს საიტზე გამოქვეყნების დღეს, 2021 წლის 8 აპრილს.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 08 აპრილის N338249 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი და მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2 ან ქ. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ორჯონიკიძე ზურაბ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით